# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 24 სექტემბერი 2007 №220 (3143)

ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნუ იტყვით. ნახეთ!

## ქართული ფეხბურთი დაიხუნძლა

ამ უქმეებზე საქართველოს ჩემპიონატის ტურში გვარიანი ამბები მოხდა. ფეხბურთს დანატრებულ ზუგდიდში ტრიბუნამ ხალხი ვერ დაიტია, რაც უიშვიათესი ამბავია ჩვენი პირველობისთვის, თუმცა ვინც დაიტია, ვაგლახ, მათში იდილია არ სუფევდა და გაწევ-გამოწევაც იყო. არც მინდორზე, „მგლებისა“ და „დინამოს“ მოთამაშეებს შორის ყოფილა ბურთის მშვიდად გორება.

ზესტაფონში ჩემპიონობის მაძიებელსა და ახლანდელ ჩემპიონს შორის იმგვარი ბოლო წუთების დრამა დატრიალდა, ბარე ორ ბობოლა ევროპულ ჩემპიონატს შეშურდებოდა.

„ბორჯომმა“ „ამერის“ დამარცხების მერე „ვიტ ჯორჯიაც“ დაჯაბნა და „ჯაიანთ ქილე-რის“ სახელიც დაიგდო, ხოლო „ამერმა“ სეზონის უმსხვილესი ანგარიში გამოაცხო გლდანში — „მერანს“ შვიდი გოლი გაუტანა.

მოკლედ, ნუ ვიტყვით, რომ ჩვენს ჩემპიონატში არაფერი ხდება...



გოგი ფიფია: მეექვსე ტურის ერთ-ერთი გმირი

მალხაზ ახალკაციშვილის ფოტო



ამერელებმა „მერანის“ მეკარე კონსტანტინე სეფიაშვილი დასეტყვეს

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი 1:0 დილა | |
| მგლები 1:2 დინამო | |
| ამერი 7:0 მერანი | |
| ვიტ ჯორჯია 1:2 ბორჯომი | |
| მესხეთი 2:2 სიონი | |
| ბათუმი 0:1 სპარტაკი | |
| ზესტაფონი 2:1 ოლიმპი | |

# რუსული დრამა ასათიანის სუპერგოლით!





სასიამოვნო ამბავი მოსკოვიდან: **მალხაზ ასათიანმა** მძიმე ტრავმის შემდეგ პირველი გოლი გაიტანა. გოლის მნიშვნელობას კი არ იკითხავთ?! ჩვენიანმა მოსკოვის „სპარტაკს" სულ ბოლო წამზე თავური დაურტყა და „ლოკომოტივს" 4:3 მოაგებინა. ასათიანის ამ გოლმა სამსახური შეუნარჩუნა „ლოკომოტივის" მწვრთნელ ანატოლი ბიშოვეცს, ხოლო გუნდს საპრიზო ადგილზე გასვლის შანსი გაუზარდა.

ძალიან დრამატული მატჩი გამოდგა. მასპინძელი „ლოკომოტივი" იყო, ხოლო სტუმარი „სპარტაკი" თავიდან 2:0 იგებდა. ამ ორიდან ერთი კი „სპარტაკმა" პენალტით გაიტანა. მეტოქის ნაქცევისთვის მსაჯმა სწორედ მალხაზ ასათიანი გაამტყუნა.

ტაიმის ბოლოსკენ „ლოკომოტივმა" ანგარიში გაათანაბრა, მეორე 45 წუთში გუნდებმა თითო გოლიც გაცვალეს და ძირითად დროს წამატებულ მეოთხე წუთზე ქართველი მცველის ის ჩინებული თავური იყო, რამაც მთელი „სპარტაკი" და ნახევარი მოსკოვი შოკში ჩააგდო. გუშინდელი გოლი იმ გოლს წააგავდა, მალხაზ ასათიანმა თავის დროზე რუსეთის ნაკრებს თბილისში რომ გაუტანა...

# კიდევ გავიტან!

## მალხაზ ასათიანის თავმა სპარტაკს ოცნება წაართვა

— ძალიან მიხარია და ბედნიერი ვარ, რომ უმნიშვნელოვანეს მატჩში უპრინციპულეს მეტოქეს გადამწყვეტი გოლი გავუტანე და ჩემმა გუნდმა მოიგო. მადლობა თანაგუნდელებსა და ქომაგებს. ეს მოგება ჩვენ დავიმსახურეთ და ახლა უკვე კიდევ მეტი შემართებით გავაგრძელებთ სამეულისთვის ბრძოლას — გვითხრა წუხელ მალხაზ ასათიანმა.

— ისეთი თავური დაარტყი, მეკარეს ბურთის მოგერიების შანსი არ ჰქონდა...

— მართლაც ზუსტი დარტყმული იყო და ჩაწოდებულიც კარგი გამოდგა. ლამაზი გოლის გარდა კი ისიც მახარებს, რომ ეს პირველი გოლია, რომელიც ტრავმის შემდეგ გავიტანე. ახლა უფრო თავდაჯერებული ვიქნები და იმედი მაქვს, ასეთი მნიშვნელობის გოლებს კიდევ გავიტან.

— „ლოკომოტივის" კარში დანიშნულ პენალტზე რას იტყვი?

— რა ვთქვა, მსაჯს შეეძლო ჯარიმა არც დაენიშნა, მაგრამ... ბოლო დროს მსაჯები „ლოკომოტივს" ერჩიან, უკვე მერამდენე უსამართლო პენალტი დანიშნეს. ამას წინათ „სატურნთან" მატჩშიც ორი პენალტით დაგვაჯარიმეს.

— სამეულისთვის ვიბრძვითო, თქვი. ჩემპიონობაზე არც ამ მოგების შემდეგ ფიქრობთ?

— ვფიქრობთ, როგორ არა, მაგრამ ეს ძალიან ძნელი იქნება. ამ ჩემპიონატში ჩვენთვის მეორე ადგილიც წარმატებად ჩაითვლება.

— ამ გოლის შემდეგ რუსებს მათი ნაკრების კარში გატანილი არ გახსენებიათ?

— იქნებ გაახსენდათ კიდეც, ოღონდ ეს ჯერ არავისგან გამიგია. მატჩის შემდეგ ჟურნალისტებს არ შევხვედრივარ, მოგვიანებით კი შეიძლება ის თამაშიც გაიხსენონ.

**ქობა ინასარიძე**

# რუსეთში ქართული ამბებია

## ასათიანმა ოქროსი გაიტანა, მუჯირმა კრილია იხსნა, გოგუა სტვენით დაბრუნდა

**მალხაზ ასათიანს** ოფიციალურ მატჩი გოლი, წელიწადზე მეტია, არ გაეტანა და გუშინ შეაგდო, თან როგორი წონიანი და თან რა დროს: მოსკოვის „ლოკომოტივი" ჩემპიონობისთვის მებრძოლ „სპარტაკს ხვდებოდა, მატჩი მთავრდებოდა და 3:3 იყო, როცა რკინიგზელებმა მარჯვენა ფრთიდან ჯარიმა ჩააწოდეს და ასათიანმა თავით მეკარესგან შორეულ კუთხეში გაგზავნა ბურთი.

„ასკამ" 90 წუთი ითამაშა მცველად, გოლამდე ცოტა ადრე ყვითელი ბარათი მიიღო, ხოლო მატჩის დასაწყისში სპარტაკელმა იგორ ტიტოვმა წესი დაარღვევინა თავის საჯარიმოში და პენალტი აჰკიდა.

ეს თავიდან იყო, ბოლოში კი მალხაზი მატჩის გმირი გახდა და სანკტ პეტერბურგის „ზენიტს" მწვანე შუქი აუნთო ჩემპიონობისკენ.

„ზენიტმა" კი „სპარტაკს" 3 ქულით იმად გადაუსწრო, რომ ყაზანში „რუბინს" 4:1 სძლია.

წაგებულთაგან 90 წუთი ითამაშა ლაშა სალუქვაძემ, ნუკრი რევიშვილი კი სათადარიგო გახლდათ.

ასათიანმა თუ გოლი გაიხსენა, გოგიტა გოგუა პრემიერლიგას სამთვიანი შესვენების შემდეგ დაუბრუნდა — მისმა „სატურნმა" გოგიტას ყოფილ კლუბ ნალჩიკის „სპარტაკს" ჩააკითხა და 3:1 მოუგო.

ჩვენიანი 83-ე წუთზე ნალჩიკელი გულშემატკივრების სტვენის ფონზე შევიდა შეცვლაზე და დარჩენილ დროში ყვითელი ბარათიც მიიღო, კარშიც დაარტყა და ერთხელ თანაგუნდელი კინაღამ მეკარესთან პირისპირაც დატოვა.

დავით მუჯირის გატანილმა პენალტმა კი „კრილია" მორიგი მარცხისგან იხსნა: სამარელები შინ 0:1 აგებდნენ „ტომთან", მაგრამ „მუჯმუჯ" 68-ე წუთზე გაათანაბრა, თუმც „კრილია" კვლავაც გავარდნის კანდიდატად რჩება.

ნალჩიკელთაგან კი ალეკო ამისულაშვილმა სრულად ითამაშა.

გერმანიაში ლევან კობიაშვილის „შალკემ" 3:0 სძლია „არმინიას", თუმცა ჩვენიანს არ უბურთავია.

სამაგიეროდ, ალექსანდრე იაშვილმა მეორე ტაიმი ითამაშა შინ მიუნხენის „ბაიერნის" წინააღმდეგ, მაგრამ მისმა „კარლსრუემ" ბუნდესფავორიტი ვერ შეაჩერა — 1:4.

მეორე ბუნდესლიგაშიც იყურჩეს ქართველებმა: დავით სირაძე მცირე ტრავმის გამო „პადერბორნის" სათადარიგოთა სკამზე იჯდა, მისმა გუნდმა კი კვლავაც გოლგაუტანლად წააგო — „ჰოფენჰაიმთან" 0:2.

„კარლ ცაისმა" სტუმრად 1:5 წააგო „ვეჰენთან" და ქართველთაგან კვლავ მხოლოდ ილია კანდელაკმა ითამაშა.

მათე ღვინიანიძემ მორიგი 90 წუთი ჩაათამაშა, „მიუნხენ 1860"-მა კი 2:1 მოუგო „ზანკტ პაულს" და ლიდერობა შეინარჩუნა.

კვლავ „ფრაიბურგის" ძირითადს მიღმა დარჩა ოთარ ხიზანეიშვილი, ვისმა გუნდმაც გასაცოდავებულ „კაიზერსლაუტერნს" 1:0 აჯობა.

„ბლექბერნს" მცველი რაიან ნელსენი დაემტვრა, მაგრამ ზურაბ ხიზანიშვილის ადგილი მაინც ვერ გამოიძებნა ძირითადში. „ვარდებმა" 0:1 დათმეს „პორტსმუთთან" — ამ სეზონში პირველი მარცხი იწვნიეს.

კარლო ანჩელოტიმ რატომღაც არ ათამაშა კახა კალაძე, „მილანი" კი ფრეების სერიას გაჰყვა და ამჯერად „პარმას" 1:1-ზე გაეყარა.

„როსონერიმ" სუპერთასი და სილვიო ბერლუსკონის თასი მოიგო, ჩემპიონთა ლიგაც კარგად დაიწყო, აი, სერია A-ში კი ძალიან ჭაკობს.

უკრაინაში მთავარი თამაში დონეცკში იყო, სადაც „შახტარმა" „დნიპროს" 4:1 მოუგო და ლიდერობა განიმტკიცა. სტუმართაგან 90 წუთი იბურთავა ჯაბა კანკავამ.

ლაშა ჯაკობიას გარეშე მოთამაშე ხარკოვის „მეტალისტმა" ზაპოროჟიეს „მეტალურგი" 2:1 დაამწუხრა. წაგებულთაგან დავით კვირკველიამ სრულა ითამაშა და ერთ-ერთი საუკეთესოც იყო მინდორზე.

„ზაკარპატიე" — „კრივბასი" 2:3 დასრულდა და წაგებულთაგან კახა ალადაშვილმა და ოთარ მარცვალაძემ თითო საგოლე პასი მიითვალეს.



გივი კვარაცხელია დუბლით გამოირჩა

ლიტვაში კი გივი კვარაცხელიამ იყოჩაღა: სტუმრად „შიაულაის" დუბლი შეუსრულა, მისმა „კაუნასმა" კი 3:1 იმარჯვა და, სავარაუდოდ, წლეულსაც ჩემპიონი გახდება.

**ილია ნანობაშვილი**

## საქართველოს 19 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
I წრე. 6 ტური

# ვის სჭირდება სათვალე? ფიფიას იფ, იფ გოლი


გოგი ფიფიას სუპერგოლი

მალხაზ ახალციშვილის ფოტო

ზესტაფონი. 22 სექტემბერი. 16 საათი. ცენტრალური. 3 000 მაყურებელი

### ზესტაფონი 2:1 ოლიმპი

| | |
|---|---|
| 1:0 ფიფია (83) 1:1 კოშკაძე (88) 2:1 ფიფია (90) | |
| ზესტაფონი: გ. ჭანტურია, ს. თოდუა, საჯაია, რ. ონიანი, ლობჟანიძე, ჯ. ჩხეტიანი (იონანიძე 75), ჟონატასი (ბიტოო 70), კესანი, ვიეირა, გ. ჭელიძე, ბ. გოცირიძე (ფიფია 62) სათადარიგონი: ჯალალონია, შ. ლონლაძე, ნ. კვასხვაძე, გ. ხიდეშელი მწვრთნელი: თემურ მახარაძე | ოლიმპი: მ. ალავიძე, მახვილაძე, აკუასაგა, ორბელაძე, ნავალოვსკი, კახელიშვილი, სილაგაძე, ლ. ქებაძე, დევდარიანი (ნ. მგელაძე 77), რ. ჯიქია (დვალიშვილი 62), ყრუაშვილი (კოშკაძე 82) სათადარიგონი: კობახიძე, კორსანტია, გ. ჩივაძე, მასუანგა მწვრთნელი: ანატოლი პისკოვეცი |
| გაფრთხილება: კახელიშვილი (58), ფიფია (75), სილაგაძე (87), იონანიძე (87), კახელიშვილი (89), ალავიძე (90) | |
| გაძევება: კახელიშვილი (89) | |
| მსაჯები: დ. ხარიტონაშვილი, ი. მაჩიტიძე, ი. კაკაბაძე, გ. კიკაჩეიშვილი | |
| დამკვირვებელი: ო. გუნთაძე | |

**ნუკრი ლოლაძე ზესტაფონიდან**

**ტურის** მთავარი მატჩის საწყისმა წუთებმა უინტერესოდ ჩაიარა — სერიოზული ხიფათი არც ერთ კართან არ ყოფილა. ის კია სათქმელი, რომ პირველ ნახევარში რუსთაველები უფრო ყოჩაღად გამოიყურებოდნენ.

აქვე ვთქვათ, რომ შეხვედრის დაწყებიდან თხუთმეტ წუთში სტადიონზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი მოვიდა.

28-ე წუთზე საკმაოდ შორი მანძილიდან ჯარიმა დაარტყა მიხეილ მახვილაძემ — გრიგოლ ჭანტურიამ ბურთი ხელებში ვერ შეიმაგრა და მცველებმა კუთხურზე მოიგერიეს. კუთხურს კი სერიოზული ხიფათი მოჰყვა: საჯარიმოში მრავლად მყოფ ფეხბურთელებს შორის ჩავარდნილმა ბურთმა არეულობა გამოიწვია; სერგო ორბელაძე კარში დარტყმა მოახერხა, მაგრამ ზესტაფონელები ბურთს გაღაეფარენ, შემდეგ კი დავით დევდარიანი ამატებდა, თუმც კარის ხაზიდან თავით უჩა ლობჟანიძემ ბურთი ისევ კუთხურზე გადააგდო.

სტუმრები მსაჯს შემოესივნენ და პენალტს ითხოვდნენ — ორბელაძის დარტყმული ბურთი ხელით მოიგერიესო, ამტკიცებდნენ, თუმცა დავით ხარიტონაშვილი შეუვალი იყო.

ამ ეპიზოდის გამო „ოლიმპის“ თავკაცმა ანატოლი პისკოვეცმა ერთი ამბავი შექმნა და ხარიტონაშვილს სათვალის ყიდვა ურჩია.

36-ე წუთზე გიორგი ნავალოვსკიმ ბურთ უკან დაუბრუნა მეკარეს, მიხეილ ალავიძემ კი ოდნავ წინ გაიგდო და ბექა გოცირიძემ კინაღამ აწაპნა.

მეორე ნახევარი ოდნავ ფხიზლად დაიწყო „ზესტაფონმა“. დასაწყისშივე მარცხენა ფრთიდან საჯარიმოში ჩააწოდა ვიეირამ, იქ ყველას გოცირიძემ დაასწრო, მაგრამ მისი თავური კარს ასცდა.

მასპინძლები კი ფლობდნენ ტერიტორიულ უპირატესობას, თუმც ძალიან ერთფეროვნად უტევდნენ და ასეთი შეტევების მოგერიება რუსთაველებს არ უჭირდათ.

62-ე წუთზე ზესტაფონელთა თავკაცმა თემურ მახარაძემ პირველი შეცვლა გააკეთა — გოცირიძის ნაცვლად გოგი ფიფია შეიყვანა და ამ ცვლილებით თამაშიც მოიგო.

69-ე წუთზე ედიკ საჯაიამ შორიდან ძლიერად დაარტყა და ალავიძემ ბურთი კუთხურზე მოიგერია.

გოლი იგვიანებს და მახარაძემ თავდასხმის გასაძლიერებლად ეტიენ ბიტოოსაც უხმო.

75-ე წუთზე ფიფია რუსთაველთა საჯარიმოში მცველებს შორის მოექცა, ერთი ჩამოიცილა, მეორესთან ჭიდილში კი დაეცა — სტადიონი პენალტის მოლოდინში გაირინდა, მაგრამ ხარიტონაშვილმა ფიფიას სიმულაციისთვის ყვითელი ბარათი უჩვენა.

აქვე თამაშში საქართველოს ჩემპიონატების მთავარმეგოლე ზურაბ იონანიძე ჩაერთო და „ზესტაფონიც“ გადამწყვეტი შტურმისთვის შეემზადა.

გაბონელი პოლ კესანის კარგი გადაცემით მის თანამემამულე ეტიენ ბიტოოს შეეძლო გატანა, მაგრამ ბურთს ფეხი ააცილა.

83-ე წუთზე კი მარჯვენა ფრთაზე გიორგი ჭელიძე ნავალოვსკის გასცდა, საჯარიმოში გამჭოლი გადაცემა გააკეთა, იონანიძემ კარში ქუსლით მოახერხა დარტყმა, ბურთი ძელს მოხვდა, დამატებაზე კი ფიფიამ ივარგა და 1:0.

რუსთაველებს სხვა რა გზა ჰქონდათ, შეტევაზე გადავიდნენ და ხუთ წუთში საწადელსაც მიაღწიეს — ანგარიში გაათანაბრეს. რუსთაველებმა საჯარიმოში ჩააწოდეს, ჭანტურიამ მუშტებით მოიგერია, ბურთს კესანი დაეუფლა, რატომღაც უკან გადაწყვიტა პასის გაკეთება, მაგრამ ვის აწვდიდა ალბათ თავადაც ვერ იტყვის. ბურთი კი ნავალოვსკიმ მოიხელთა და კარშიც დაარტყა, ჭანტურიამ მოიგერია, მერე ვლადიმერ დვალიშვილის დარტყმულიც უკუაგდო, მაგრამ ალექსანდრე კოშკაძის დამატებულს ვეღარაფერი მოუხერხა და 1:1

ერთ წუთში გიორგი კახელიშვილმა დროის გაყვანისთვის მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და „ოლიმპიც“ კაცნაკლული დარჩა.

მატჩის დამთავრებას თითქმის არაფერი უკლდა, მარცხენა ფრთიდან ჯარიმა რომ დაინიშნა — ფიფიას დარტყმული ყველას გადასცდა და შორეულ ცხრიანში ჩაეშვა — 2:1.

უნდა გენახათ ფიფიას გაკვირვებული სახე, ბურთი ბადეში რომ დაინახა, სულ ხელები ასავსავა.

ნამატჩევს მცირე კომენტარი ვთხოვეთ *ნოდარ ახალკაცს*: „დაძაბული თამაში იყო, ბოლო წუთებმა ძალიან საინტერესოდ ჩაიარა და შეცვლაზე შემოსული ფეხბურთელებიც კარგად გაისარჯნენ“.

### პრესკონფერენცია

**ანატოლი პისკოვეცი:** მსაჯებზე საუბარი არ მიყვარს, მაგრამ დღეს მეტისმეტი იყო. ამ ხნის კაცი ვარ, საქართველოში სამუშაოდ ჩამოვედი, მინდა, საქმე პატიოსნად ვაკეთო, მაგრამ ეს რა ხდება. მსაჯმა პირველ ტაიმში აშკარა პენალტი არ მოგვცა. ქართულ ფეხბურთს ასეთი მსაჯები თუ არ ჩამოაცილეს ჩემპიონატი შორს ვერ წავა. თუ ვერ ხედავს სათვალე გაიკეთოს...

...როცა „ზესტაფონი“ იგებდა, მათ დროის გასაყვანად ბურთი ექვსჯერ გადააგდეს, კახელიშვილმა ეს ერთხელ გააკეთა და გააძევეს...

...„ზესტაფონი“ კარგი გუნდია, მაგრამ დღეს ჩვენს ძლევაში მსაჯი დაეხმარა.

**თემურ მახარაძე:** პირველ ტაიმში ფეხბურთელებმა ჩემი დავალება ვერ შეასრულეს, მეორე ნახევარში კი უპირატესობა ხელთ ვიგდეთ და, ვფიქრობ, დამსახურებულადაც გავიმარჯვეთ...

...იყო თუ არა ჩვენს კარში პენალტი? ამაზე კომენტარს ვერ გავაკეთებ.

# ბორჯომს გაზი მოემატა

მცხეთა. 23 სექტემბერი. 16 საათი. არმაზი. 400 მაყურებელი

### ვიტ ჯორჯია 1:2 ბორჯომი

| | |
|---|---|
| 0:1 ჯიქია (6), 0:2 გრიგალაშვილი (31), 1:2 გელაშვილი (38) | |
| ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი, პ. დათუნაიშვილი, ა. კვახაძე, კაიშაური, ჯაფარიძე, რაზმაძე (ინჯგია 83), გ. დათუნაიშვილი, კლიმიაშვილი, გ. მელქაძე, სახოკია (ბერიაშვილი 83), გელაშვილი (ლუჭაშვილი 86) სათადარიგონი: მიქაბერიძე, ადამაძე, პირველი, მაისაშვილი მწვრთნელი: ნესტორ მუმლაძე | ბორჯომი: შეყრილაძე, ლ. მერებაშვილი, ქარქუზაშვილი, აკობია, ლ. ჭელიძე, მემარნიშვილი, კ. ხანიშვილი (ყველაშვილი 62), ბაბუნაშვილი, ნერგაძე, შ. გრიგალაშვილი (გოგიჩაიშვილი 72), შ. ჯიქია (ნასყიდაშვილი 88) სათადარიგონი: გლუნჩაძე, ნ. ლომიძე, დევიძე მწვრთნელი: ვლადიმერ ხაჩიძე |
| გაფრთხილება: გრიგალაშვილი (26), პ. დათუნაიშვილი (60), ბაბუნაშვილი (68) | |
| მსაჯები: მ. ბეუქლიშვილი, ზ. მენთეშაშვილი, ო. მოლოდინაშვილი, გ. გუმბერიძე | |

**ილია ნანობაშვილი მცხეთიდან**

**„ბორჯომი“** ფავორიტებს მიადგა — ჯერ „ამერი“ დაამარცხა, გუშინ კი „ვიტ ჯორჯია“ მისსავე სტადიონზე დასცა და ახლა თქვენ განსაჯეთ, ვინაა დღეისთვის ფავორიტი. ბორჯომელებს კვლავ ორმა შოთამ, გრიგალაშვილმა და ჯიქიამ ულიდერეს. საწყის ნახევარ საათში მათ ყველაფერი გამოსდიოდათ და „ვიტ ჯორჯიას“ მცველებსაც ბლომად საქმე ჰქონდათ.

მე-6 წუთზე გრიგალაშვილმა ჯიქიას კარგად გააყოლა ბურთი და მანაც ზედმეტი ხლაფორთის გარეშე გაუტანა გრიგოლ ბედიაშვილს — 0:1.

მიჯრით მეორე მატჩია, ვიტელები ცუდად იწყებენ მატჩს, „სიონთანაც“ ეგრევე გაუშვეს და წააგეს, გუშინაც იგივე გაიმეორეს.

„ვიტ ჯორჯია“ ის გუნდი არაა, მოეშვას და ყურები ჩამოყაროს, ნესტორ მუმლაძის გუნდმა ცოტა დაალგა თამაში, უპირატესობაც მოიპოვა, მაგრამ თორელთა დაცვაც მაგრად დადგა. მასპინძლები მეტწილად ფლანგებიდან უტევდნენ, სადაც ირაკლი კლიმიაშვილი და ზაზა სახოკია კი ასწრებდნენ ბორჯომელთა მცველებს, თუმც ხერხიან გაგრძელებას ვერ პოულობდნენ და ამღენ წვალებაში სტუმრებმა იქით გაიტანეს: გრიგალაშვილმა ამჯერად ჯიქიას აღარ უპასა, თავადვე შეაგდო ბურთი იმ დროს, როცა ვიტელები ხელოვნურ თამაშგარეს აპირებდნენ — ესეც 0:2 და სერიოზული ფორა.

„ვიტ ჯორჯია“ უფრო აწრიალდა, ტემპს უმატა და რაც ასეთი ჩამორჩენის დროს მალამოსავითაა, კი გააკეთა — შესვენებამდე ერთი გოლი გაქვითა: სახოკიამ მარჯვნიდან მაღალი ბურთი ჩააწოდა, ნიკა გელაშვილმა კი კარიდან ცუდად გამოსულ ბექა შეყრილაძეს დაასწრო და თავით შეაგდო.

ვლადიმერ ხაჩიძის გუნდი ყრუ დაცვაში არ ჩამჯდარა, რამაც თამაში გაალამაზა და, მართალია, საგოლე მომენტები არ შექმნილა, ბრძოლა და გააზრებული კომბინაციები დროდადრო კი ვნახეთ. სამცხელები მოედნის ცენტრში მაგრად იბრძოდნენ, შეცდომების დაშვებას აიძულებდნენ მეტოქეს და აქა ერთი-ორჯერ კარგი კონტრშეტევის საშუალებაც მიეცათ, მაგრამ ბოლო პასი არ გამოსდიოდათ.

რაც დრო გადიოდა, „ბორჯომი“ ნელ-ნელა უკან იხევდა, „ვიტ ჯორჯიას“ კი მხოლოდ ბოლო ხუთ წუთში მიეცა საგოლე შანსები და ერთი გაიტანა კიდეც, მაგრამ შეყრილაძეზე თავდასხმის გამო არ ჩათვალა მსაჯმა მალხაზ ბეუქლიშვილმა — მეკარეს საჰაერო ბრძოლისას ხელი ჰკრესო..

ბოლოს ალექსანდრე კვახაძის თავური აილო შეყრილაძემ და მასპინძელთა იმედებიც წყალში ჩაიყარა: „ბორჯომი“ ლიდერთა ჯგუფისკენ მიიწევს, „ვიტ ჯორჯია“ კი მხნე სტარტის შემდეგ მიჯრით მეორედ დამარცხდა — აშკარაა, მუმლაძის გუნდს კარგი მეპასე სჭირდება ნახევარდაცვაში, ასეთი კი ზამთარს აქეთ აღარ ჰყოლია...

# საქართველოს 19 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

I წრე. 6 ტური

# ამერში შვიდობაა

## ყვითლებმა არითმეტიკაში წაივარჯიშეს



კონსტანტინე სეფიაშვილი შეცვლაზე შესულებმა, გიზო ჯელაძემ და დიმიტრი ტატანაშვილმაც დაამწუხრეს

თბილისი. 23 სექტემბერი. 16 საათი. ამერი. 1 000 მაყურებელი

### ამერი 7:0 მერანი

1:0 დავითაშვილი (24), 2:0 დობროვოლსკი (49), 3:0 დოლიძე (57), 4:0, 5:0 გოცირიძე (63, 67), 6:0 ტატანაშვილი (84), 7:0 ჯელაძე (89)

**ამერი:** ქვაჩახია, ელბაქიძე, დავითნიძე, მესხი, დიდავა, დეკანოსიძე, ბოლქვაძე (ჯელაძე 61), დოლიძე (ა. ალავიძე 67), დობროვოლსკი, ს. დავითაშვილი (ტატანაშვილი 61), რ. გოცირიძე
*სათადარიგონი:* ლ. ნადირაშვილი, კაკაშვილი, ჩიკვილაძე, ცხადაძე
**მწვრთნელი:** გიორგი ჩიხრაძე

**მერანი:** სეფიაშვილი, ლოლაძე (ხუჭუა 70), თ. კობიაშვილი, დ. გიგაური, სარალიძე, ჯანგიძე, ბ. ნოზაძე (ქობალია 61), ტყემელაშვილი, ლომაშვილი, ვ. გოჩაშვილი (სევასტოპულო 37), ბ. ფლენტი
*სათადარიგონი:* რ. თევდორაძე, ფურთუხია, კობერიძე, დეისაძე
**მწვრთნელი:** დავით ეჯიბიშვილი

**გაფრთხილება:** ჯანგიძე (8), დავითნიძე (35), ჯანგიძე (42), სარალიძე (53)

**გაძევება:** ჯანგიძე (42)

**მსაჯები:** ლ. კვარაცხელია, მ. ელიკაშვილი, გ. ყრუაშვილი, ა. ნონიკაშვილი

**დამკვირვებელი:** პ. ბურჯალიანი

კობა ინასარიძე

**ქვეყნის** ჩემპიონობის ერთ-ერთი კანდიდატი თბილისის „ამერი" არცთუ სახარბიელო სტარტის შემდეგ, ჩანს, ნელ-ნელა ფერზე მოდის და მეტოქეებს დაუნდობლად უსწორდება.

რამდენიმე დღის წინ „ყვითლებმა" სათასო მატჩში ქუთაისის „ტორპედოს" ექვსი გოლი გაუტანეს, „მერანთან" კი ამდენიც არ იკმარეს. „ამერმა" გუშინ გლდანში მეტოქისგან ქვა-ქვაზე არ დატოვა და შთამბეჭდავად მოიგო. გიორგი ჩიხრაძის შეგირდებს აქამდე ჩატარებულ ხუთ შეხვედრაში სულ ექვსი გოლი გაეტანათ, „მერანთან" კი მათი დამკავებელი აღარავინ გამოჩნდა და აგერ შედეგიც...

სტუმრები მასპინძლებს პირველ გოლამდე მეტ-ნაკლებად გაუძალიანდნენ, ხოლო შემდეგ ფარ-ხმალი დაყარეს და, შეიძლება ითქვას, საპირისპირო კარისკენ აღარც გაუხედავთ. თუმცა მერანელებმა იმდენი მაინც მოახერხეს, რომ შეხვედრას 45 წუთით მაინც შეუნარჩუნეს გარკვეული ინტრიგა და შესვენებამდე „ყვითლებს" მეტი გოლი არ გაატანინეს. თანაც, ტაიმის ბოლოსკენ „მერანი" კაცნაკლულიც დარჩა — სულიკო დავითაშვილის წინააღმდეგ უხეშობისთვის არბიტრმა ლევან კვარაცხელიამ ლაშა ჯანგიძეს მეორე ყვითელი უჩვენა და შემდეგ წითელიც მიაყოლა.

დავითაშვილს კი საგოლე საქმე მეტოქის გაძევებამდე გაეკეთებინა. მასპინძელთა ფორვარდი მეტოქეს მისთვის ცოტა უჩვეულოდ, ფლანგიდან უფრო უტევდა, თუმცა გოლის გასატანად და მცველების დასაწიოკებლად ამას ხელი არ შეუშლია. 24-ე წუთი იყო, როცა კონსტანტინე სეფიაშვილს გიორგი ელბაქიძემ საჯარიმოს გარედან ძალიან ძლიერად დაურტყა. მეკარემ ბურთი კი მოიგერია, მაგრამ პირდაპირ დავითაშვილის ფეხებთან. ამერელთა შემტევმაც წამშივე მცველი ჩამოიშორა და სეფიაშვილისთვის აულებლად დაარტყა.

პირველ ტაიმში ერთი დასამახსოვრებელი ეპიზოდიც იყო. სტუმართა მეკარეს უკან დაგორებულ ბურთზე ფეხი აუცდა და კინაღამ კურიოზული გოლი ვნახეთ. ბედად, სეფიაშვილმა ბურთს მიუსწრო და მეორე ცდაზე მოიგერია.

„ამერს" შესვენების შემდეგ ბევრი აღარ დაუყოვნებია. თამაშის განახლებიდან 4 წუთშივე უფრო დაწინაურდა — დენის დობროვოლსკიმ შორიდან დაარტყა, ბურთი მეკარის წინა დაეცა და კარში აღმოჩნდა.

ორბურთიანი უპირატესობა და კაცნაკლული მეტოქე — უკვე ცხადი გახდა, რომ „ამერი" თავის შანს ხელიდან აღარ გაუშვებდა. საკითხავი ის იყო, მასპინძლები კიდევ რამდენი გოლის გატანას მოახერხებდნენ.

მესამედ „მერანი" გრიგოლ დოლიძემ დაამწუხრა, როცა ფლანგიდან ჩაწოდებულს შორეულ ძელთან თავური მიაყოლა, ხოლო მეოთხე გოლი რევაზ გოცირიძისა გამოდგა, რომელიც ჩემპიონატში მისთვის პირველი იყო. ამერელთა თავდამსხმელმა გიზო ჯელაძის ჩაწოდებული მკერდით გაისწორა და შეუჩერებლადვე ბურთი შორეულ ცხრიანში ჩასვა. მალევე კი გოცირიძემ დუბლიც გააკეთა, საჯარიმოში მყოფი შექმნილ ვითარებაში კარგად გაერკვა და ისევ უნაკლოდ დაარტყა — 5:0.

სოლიდური უპირატესობის შემდეგ „ყვითლებმა" ცოტა ამოისუნთქეს, მატჩის ბოლოს კი ისევ შეუტიეს და ჯერ დიმიტრი ტატანაშვილმა, მერე გიზო ჯელაძემ კიდევ ორჯერ გაიტანეს.

ისე, ტაიმის მეორე ნახევარს აზრი აღარც ჰქონდა და მასპინძლებს ბოლომდე რომ მოენდომებინათ, ვინ იცის, ორჯერ მეტი სხვაობითაც მოეგოთ...

ზუგდიდი. 22 სექტემბერი. 16 საათი. გ. თუთბერიძე. 4 500 მაყურებელი

### მგლები 1:2 დინამო

1:0 ქირია (10), 1:1 მერებაშვილი (45), 1:2 ხუციშვილი (55)

**მგლები:** ივარდავა, ექონია, კაკაბაძე (გაბედავა 64), ფარულავა, მაჭავარიანი, ქირია, ვართაგავა (ლიპარტია 77), ხუბუა, ჯოჯუა, წურწუმია, კრასოვსკი (ჭითანავა 55)
*სათადარიგონი:* ბაკარაძე, ქომეთიანი, ნარსია, კუტალია
**მწვრთნელი:** ბესიკ შეროზია

**დინამო:** ივონო, შ. კაშია, ზელიჩი, კრშკო, დობეში, დილმელაშვილი, ხმალაძე, სპასოევიჩი (ს. კობახიძე 70), ხუციშვილი (ოდიკაძე 77), გ. მერებაშვილი (ფეიქრიშვილი 90), აკირემი
*სათადარიგონი:* გრიშიკაშვილი, თომაშვილი, გ. კაშია, ფირცხალავა
**მწვრთნელი:** დუშან უჰრინი

**გაფრთხილება:** კობახიძე (84)

**გაძევება:** ჯოჯუა (90), აკირემი (90)

**მსაჯები:** გ. ვადაჭკორია, ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე, პ. დოგრაშვილი

**დამკვირვებელი:** თ. ლორთქიფანიძე

# უპრეცედენტო პრეცედენტი: სტადიონმა ხალხი ველარ დაიტია!

## ნუ იქნება ოღონდ ჩხუბი

სოსო გულუა ზუგდიდიდან

**ზუგდიდის** „მგლებს" ქომაგობა აქამდეც არ აკლდა, მაგრამ თბილისის „დინამოსთან" თამაშზე ძალიან ბევრი გულშემატკივარი გულდაწყვეტილი დარჩა გარეთ. არადა, ვისაც გაუმართლა და ტრიბუნაზე მოხვდა, მართლაც კარგი ფეხბურთი ნახა.

მასპინძლებმა ტოლი არაფერში დაუდეს ტიტულოვან მეტოქეს და უშელავათო ბრძოლა გაუმართეს.

მატჩის სადავეები თავიდან „მგლებმა" აიღეს ხელთ და რამდენიმე მწვავე შეტევაც განახორციელეს. სწორედ ერთ-ერთი ასეთი შეტევისას მარცხენა ფრთიდან ჩაწოდებულ ბურთს დინამოელთა საჯარიმოში კარგად შეურჩია ადგილი ქირიამ და ეფექტური გოლი გაიტანა — 1:0.

გაშვებულმა გოლმა დინამოელები თითქოს გამოაფხიზლა და მათ უფრო ენერგიულად დაიწყეს თამაში. ერთხანს ბურთი უფრო მოედნის ცენტრში ტრიალებდა, შემდეგ კი თბილისელი თავდამსხმელები „მგლების" საჯარიმოს ხშირი სტუმრები გახდნენ.

თავიდან მასპინძელი მცველები უშეცდომოდ თამაშობდნენ, ამიტომ სტუმრებმა შორეული დარტყმებით სცადეს ანგარიშის გათანაბრება — სახიფათოდ ურტყამდნენ ჟორჟ აკირემი, მიხეილ ხუციშვილი, ისევ აკირემი, გიორგი მერებაშვილი...

ცოტა ხანში თამაში ისევ გათანაბრდა და თითქოს ყველა შეეგუა პირველი ტაიმის ასეთი ანგარიშით ჩამთავრებას, მაგრამ მსაჯის მიერ წამატებულ დროში მერებაშვილმა მცველთა შეცდომით ისარგებლა და ანგარიში გაათანაბრა — 1:1.

მეორე ნახევარში საერთო სურათი არ შეცვლილა — ორივე გუნდი ცდილობდა უპირატესობის მოპოვებას და 55-ე წუთზე გადამწყვეტი გოლიც გავიდა. მოედნის სიღრმიდან ძლიერად დარტყმულ ბურთს ხუციშვილმა თავით შეუცვალა მიმართულება და იგი „მგლების" კარში აღმოჩნდა — 1:2.

მასპინძლები არ გატყდნენ და ბოლომდე იბრძოლეს, მაგრამ გამოცდილმა მეტოქემ მეტის გაკეთების საშუალება არ მისცა.

ვითარება ბოლო წუთებზე დაიძაბა, როცა ურთიერთშელაპარაკების გამო მსაჯმა დინამოელი აკირემი და „მგლების" ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე ჯოჯუა, მოედნიდან გააძევა.

სამწუხაროდ, ამ ინციდენტს გასახდელშიც მოჰყვა გაგრძელება, მაგრამ საქმეში სამართალდამცავები ჩაერივნენ და ვითარებაც განიმუხტა.

### პრესკონფერენცია

კახა კაჭარავა, „დინამოს" მთავარი მწვრთნელის თანაშემწე: „დინამოს" წინააღმდეგ ყველა გუნდი განსაკუთრებული მონდომებით თამაშობს. ჩვენ ამ დონეზე პირველად შევხვდით ზუგდიდელებს და დავრწმუნდით, რომ საკმაოდ ძლიერი და პერსპექტიული გუნდია. ვუსურვებ მათ გამარჯვებებს.

ბესიკ შეროზია: ბიჭების თამაშით კმაყოფილი ვარ, მატჩის შედეგით, რა თქმა უნდა, არა. ყველაზე სამართლიანი შედეგი ფრე იქნებოდა. თან, სამი წამყვანი ფეხბურთელი — ჭედია, ჯანაშია და მეკარე დევაძე ტრავმირებულია, ეს კი ასეთ შეხვედრაში დიდი დანაკლისია. ჩვენი მთავარი მიზანი უმაღლეს ლიგაში დამკვიდრებაა და ვფიქრობ, ეს არ უნდა გაგვიჭირდეს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 6 | 6 | 0 | 0 | 15:2 | 18 |
| ზესტაფონი | 6 | 5 | 1 | 0 | 14:3 | 16 |
| ბორჯომი | 6 | 3 | 2 | 1 | 8:4 | 11 |
| მესხეთი | 6 | 3 | 2 | 1 | 8:6 | 11 |
| ვიტ ჯორჯია | 6 | 3 | 1 | 2 | 7:7 | 10 |
| ამერი | 6 | 3 | 0 | 3 | 13:8 | 9 |
| მგლები | 6 | 3 | 0 | 3 | 5:5 | 9 |
| სიონი | 6 | 2 | 2 | 2 | 7:9 | 8 |
| სპარტაკი | 6 | 2 | 2 | 2 | 3:6 | 8 |
| ოლიმპი | 6 | 2 | 1 | 3 | 4:6 | 7 |
| ლოკომოტივი | 6 | 2 | 0 | 4 | 5:11 | 6 |
| დილა | 6 | 1 | 0 | 5 | 4:9 | 3 |
| მერანი | 6 | 1 | 0 | 5 | 2:14 | 3 |
| ბათუმი | 6 | 0 | 1 | 5 | 2:7 | 1 |

## საქართველოს 19 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა · I წრე. 6 ტური

# უფერული არაფერი


ბადრი კეთილაძის ფოტო

თბილისი. 22 სექტემბერი. 16 საათი. მიხეილ მესხი. 300 მაყურებელი

### ლოკომოტივი 1:0 დილა

| 1:0 ბარბაქაძე (60) | |
|---|---|
| **ლოკომოტივი:** გვარამაძე, ლალაძე, დ. ფოფხაძე, ქუხილავა, ა. კობიაშვილი, მალიჩავა, ბარბაქაძე (ტიკურიშვილი 80), გულორდავა, ხოხონიშვილი, მიქაძე (ალავერდაშვილი 61), დ. ჩაგელიშვილი (კირკიტაძე 58) სათადარიგონი: ცერცვაძე; ლ. ჩაგელიშვილი, იმედაძე. მწვრთნელი: გიორგი კიკნაძე | **დილა:** თ. ილურიძე, ბალიაშვილი, ლაცაბიძე, დ. ხანიშვილი, ბალაშვილი, ნ. ნოზაძე (სულთანიშვილი 75), სადალაშვილი, ტლაშაძე, ბ. ჩიტაია, შერმადინი (კურტანიძე 66), სამადაშვილი (ლ. თურმანიძე (73) სათადარიგონი: კეწუაშვილი; ი. თაყაძე, ლომიძე, მასურაშვილი. მწვრთნელი: მამუკა ვარდოსანიძე |
| **გაფრთხილება:** ხოხონიშვილი (20), მიქაძე (33), ტიკურაშვილი (87) | |
| **მსაჯები:** ვ. ელისაბედაშვილი, ზ. ჯვარიძე, ზ. ბერულავა, ო. ხეცაძე | |

ილია ნანობაშვილი

**ის,** რაც გუშინწინ „მიხეილ მესხზე“ ხდებოდა, ფეხბურთთან მხოლოდ ის კავშირი ჰქონდა, რომ ბურთი გორაობდა, საქართველოს ჩემპიონატში უდონო ფეხბურთი კი არ გვიკვირს, მაგრამ ეს ნამეტანი იყო — არეულ-დარეული, ვითომდა კომბინაციური, აზრის არდატანება, უზუსტო დარტყმები...

„ლოკომოტივს“ დისკვალიფიცირებულ მთავარ მწვრთნელ გიორგი კიკნაძის ნაცვლად მისი თანაშემწე ზაზა ზამთარაძე უძღვებოდა. ამის გარდა, ვაკელებს სამი წამყვანი ფეხბურთელი (ნიკა გუშარაშვილი, ირაკლი სამხარაძე, მიხეილ ჟღენტი) აკლდათ, „ვიტ ჯორჯიასთან“ სათასო შეხვედრაში გაძევებების გამო. არ იყო ჭაბუკი ლევან ყენიაც, ვინც საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებს ახლავს რუმინეთში.

მოკლედ, „დილას“ შანსები ხონჩასავით ედო, მაგრამ გამოყენებას ხომ შნო უნდა — გორელებმა კი 90 წუთი ისე ჩაამთავრეს, ორი ნახევარმომენტი შექმნეს: პირველ ტაიმში ნოდარ ნოზაძეს აული დავით გვარამაძემ, მეორეში კი ბექა ჩიტაიამ გვერდით კარგად დაუგდო ბურთი საბა სულთანიშვილს, მაგრამ მან კარს გადააცილა.

ისეთი მძინარე თამაში იყო, გოლს არც ველოდით, მაგრამ მე-60 წუთზე ლოკომოტიველმა გაგა ბარბაქაძემ შორიდან დაარტყა და რატომღაც ახლო ძელთან მდგარ „დილას“ მეკარე თამაზ ილურიძეს ნახტომმა ველარ უშველა — 1:0.

მატჩის ბოლო სამ წუთში კი ვაკელებს კიდევ ორჯერ ჰქონდათ გასატანი, მაგრამ ისეთები გააცუდეს, კურიოზებში უნდა ჩაიწეროს. გიორგი გულორდავამ „დილას“ საჯარიმოში სამი მცველი მოატყუა, ილურიძესაც გასცდა, მაგრამ გიორგი ალავერდაშვილმა და გაგა კირკიტაძემ მისი რეიდი ვერ დააბოლოვეს, კარში ვერ დაარტყეს, ზედ მსაჯის საფინალო სასტვენის შემდეგ კი ირაკლი მალიჩავამ კონტრშეტევაზე ილურიძე მოატყუა, კარამდე 20 მეტრი რჩებოდა და ცარიელ კარში ზუსტი დარტყმაღა უნდოდა, მაგრამ ააცილა.

„ლოკომოტივმა“ ოდნავ გამოისწორა მდგომარეობა, „დილა“ კი კვლავაც აუტსაიდერთა ზონაში ტრიალებს.

და ერთიც: ეს თამაში ლევან ფანიაშვილს უნდა ემსაჯა, „ბათუმი“ — „სპარტაკი“ კი ლაშა სილაგავას, თუმცა ისინი უეფას თასის მატჩზე იყვნენ დანიშნულნი და უცხოეთიდან ჩამოსვლა შეუფერხდათ.

ახალციხე. 23 სექტემბერი. 16 საათი. მ. იაძე. 600 მაყურებელი

### მესხეთი 2:2 სიონი

| 1:0 ვაშაკიძე (27ს.კ.), 1:1 ქარდავა (39), 2:1 აფრიამაშვილი (46), 2:2 ქარდავა (59) | |
|---|---|
| **მესხეთი:** სომხიშვილი, ძამსაშვილი, გ. ნადირაშვილი (კობესაშვილი 70), ფანია, ლეკიშვილი, თაყაძე (ინასარიძე 80), ზ. ჩხეტიანი, აფრიამაშვილი (მ. ლონლაძე 70), გვირჯიშვილი, გ. თურმანიძე, კაიდარაშვილი. სათადარიგონი: ძამუნაშვილი; აკოფიანი, გ. სუდაძე, ზ. სუდაძე. მწვრთნელი: კობა თედიაშვილი | **სიონი:** სტურუა, რაქვიაშვილი, მენთესაშვილი, ლ. ვაშაკიძე, ფრიდოლინი, კვიტაიშვილი (ქუცურუა 46), სანიკიძე, ლ. ბაჟელიძე (ქურასბედიანი 80), ნადირაძე, ქარდავა (კვიციანი 71), ზ. ქუთათელაძე. სათადარიგონი: გ. იაშვილი; თავბერიძე, გაგუა. მწვრთნელი: გიორგი ყიფშიძე |
| **გაფრთხილება:** თაყაძე (51), ძამსაშვილი (51), ქუცურუა (51) | |
| **მსაჯები:** ა. კრიჭაშვილი, კ. გუდურაშვილი, დ. კურტანიძე, გ. ურუშაძე | |

# უჩასეთოდ და ქარდავათი
## ახალციხეში მასპინძელი დაისაჯა

მიხეილ ჭორჭოლიანი ახალციხიდან

**ბოლნისელებმა** ამ მატჩისთვის მთავარი დამრტყმელი ძალა ერიკ რომეო ჩასეთი დისკვალიფიკაციის გამო მოისაკლისეს, მაგრამ მის არყოფნაში ლიდერობა ბესიკ ქარადავამ იკისრა.

თამაში კი მასპინძელთა უპირატესობით დაიწყო და უკვე მეორე წუთზე პაატა გვირჯიშვილმა დაარტყა სახიფათოდ, ათიოდე წუთში კი ზვიად სტურუამ ალექსანდრე კაიდარაშვილს აული.

ცოტა ხანში გონს ბოლნისელებიც მოეგნენ და გიორგი სომხიშვილი ქარდავამ შეაწუხა.

თამაში ნელ ტემპში გაგრძელდა, მაგრამ მალე „შესანიშნავი“ ავტოგოლი ვიხილეთ — ლაშა ვაშაკიძემ ლამაზ ნახტომში ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა და „მესხეთი“ დაწინაურდა.

ახალციხელებს გოლის გატანა 37-ე წუთზეც მართებდათ, კაიდარაშვილი პირისპირ გავიდა მეკარესთან, მაგრამ სტურუამ შესანიშნავად ითამაშა.

„მესხეთიც“ დაისაჯა — 39-ე წუთზე მეკარესთან პირისპირ უკვე ქარდავა აღმოჩნდა, მეტოქის შეცდომა არ გაიმეორა და მშვიდად გაიტანა — 1:1.

მეორე ტაიმის დაწყება და გოლი ერთი იყო: გიორგი თურმანიძემ კუთხური ჩააწოდა, ბურთთან ყველაზე ადრე აფრიამაშვილი გაჩნდა და 2:1.

მალე ფეხბურთელებს ნერვებმა უმტყუნეს და ერთ ეპიზოდში ჯგუფური ჩხუბიც ატყდა, მოშუღარნი თანაგუნდელებმა დააშოშმინეს, მსაჯმა კი მხოლოდ ყვითლები გამოიყენა...

59-ე წუთზე კი ქარდავამ კარგად შეასრულა საჯარიმო და 2:2.

აქედან მოყოლებული თამაში მშვიდად მიდიოდა, „მესხეთი“ მხოლოდ ბოლო წუთებში აფეთქდა და გამარჯვების მოპოვებაც შეეძლო. 85-ე წუთზე პაატა გვირჯიშვილის კუთხურის შემდეგ გიგა ფვანიამ ძელს გაარტყა, წუთში კი ზვიად სტურუასთან პირისპირ თავად გვირჯიშვილი დარჩა და კარს ააცილა...

# ბათუმს ბათუმი აუმხედრდა
## ფანდარასტ 2010 წლამდე?

ბათუმი. 22 სექტემბერი. 16 საათი. ადელი. 400 მაყურებელი

### ბათუმი 0:1 სპარტაკი

| 0:1 ჯანელიძე (30) | |
|---|---|
| **ბათუმი:** მამინაშვილი, ლ. მახარაძე (ოქრუაშვილი 45), ზ. ჭელიძე ზ. თედორაძე, მაკარიანი (ცანავა 55) ბეჟანიძე, კ. მახარაძე, დარჩიძე, კაკალაძე, გ. მოდებაძე (ტულუში 70) დემურაძე. სათადარიგონი: თოთლაძე, ა. ბაჟელიძე, ბ. მახარაძე, გალოგრე. მწვრთნელი: ამირან გოგიტიძე | **სპარტაკი:** კოდალაევი, ბახტურიძე, ხაჭიპერიძე, ქემოკლიძე, მამუკაშვილი, ხიდეშელი (მედოევი 67), ძარია (კუპრეიშვილი 55), თ. თარხნიშვილი, ბობოხია, ჯანელიძე (ტატაევი 83). სათადარიგონი: ქვილითაია, პარამონოვი, ავალიანი, კეტაშვილი. მწვრთნელი: კობა ჟორჟიკაშვილი |
| **გაფრთხილება:** თედორაძე (64), ტულუში (73) | |
| **მსაჯები:** კ. ჭაჭუა, შ. ქუხილავა, ზ. ხუციშვილი, მ. ნაკაიძე | |

გიორგი მურვანიძე ბათუმიდან

**ბათუმელთა** წარუმატებელი სერია გრძელდება — ცხინვალის „სპარტაკთან“ საკუთარ მოედანზე წაგებამ ბათუმელი გულშემატკივარი უკვე იმაზე აალაპარაკა, რომ მათი გუნდი მომდევნო სეზონს პირველ ლიგაში გაატარებს.

„ბათუმი ფანდარასტ!“ — თქვენ წარმოიდგინეთ, მსგავსი შეძახილებიც მოვისმინეთ. უიმედო გულშემატკივარს იმის იმედიღა დარჩა, რომ 2010 წელს შეპირებული ევროპული დონის სტადიონის აშენების შემდეგ სათანადო გუნდიც იქნება.

თამაშს დავუბრუნდეთ. პირველი სახიფათო შეტევა ბათუმელებმა განახორციელეს — შეტევა ვიტალი დარჩიძემ წამოიწყო, მარცხენა ფლანგზე დემურაძე შენიშნა და კარგი გადაცემით დასარტყმელ პოზიციაზეც გაიყვანა. შემტევმა მეკარისაგან შორეულ კუთხეში მოზომილად დაარტყა, მაგრამ კარი მცველმა იხსნა.

მორიგი შეტევა ამჯერად მარცხენა ფლანგიდან დაიწყო. ზღვისპირელებმა მორაგბეებივით გაშალეს თამაში — მარცხნიდან ოთხი პასით მარჯვენა ფლანგზე გადაიტანეს ბურთი, დასარტყმელ პოზიციაზე დარჩიძე აღმოჩნდა, ძლიერადაც მოსცხო და ბესიკ კოდალაევმა თითის წვერებით მოიგერია ბურთი.

მასპინძლების უპირატესობა პირველი ოცდაათი წუთი აშკარა იყო. 30-ე წუთზე კი ამ მატჩის პირველი და უკანასკნელი გოლი გავიდა — მარცხენა ფლანგზე ბობოხია გაიჭრა, პირით ხაზამდე ჩაირბინა და საჯარიმოშიც ჩააწოდა, იქ კი ორი მცველის გარემოცვაში მყოფმა ჯანელიძემ კურიოზული გოლი გაიტანა — სტუმართა ფორვარდი მეტოქის კართან ზურგით იდგა, ბობოხიას ჩაწოდებული ბურთი შემთხვევით ქუსლზე მოხვდა და კარში შეგორდა. მეკარე მამინაშვილმა რეაგირებაც ვერ მოახერხა — 0:1.

დარჩენილ დროში ბათუმელები ვერაფრით ახერხებდნენ მეტოქის კართან მიახლოვებას, შორეული დარტყმები კი ხშირ შემთხვევებში კარს დიდი მანძილით სცდებოდა.

ცხინვალელებმა მეორე ტაიმშიც იგივე ტაქტიკას მიმართეს — თერთმეტივე მოთამაშე საკუთარი კარის მისადგომებთან იდგა. ბათუმელებსაც იგივე თავსაატეხი ჰქონდათ — ამ კედელში გაღწევა.

ბევრს კი ეცადნენ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. თამაშით რომ ვერა, მუჯლუგუნებით შეეცადნენ მეტოქის დაჯაბვნას, მაგრამ მსაჯებმა მალევე დააშოშმინეს ფეხბურთელები.

მეორე ტაიმში სულ რაღაც ორი გააზრებული შეტევა დაგვამახსოვრდა — ერთი ბათუმელთა და ერთიც სტუმრებისა.

ჯერ კახა მახარაძემ საკუთარ საჯარიმოსთან უწყინარ სიტუაციაში ჩააბარა ბურთი ჯანელიძეს, ერთადერთი გოლის ავტორმა კი ამჯერად თავი ვერ გამოიჩინა და ბურთი კარს ოდნავ ააცილა.

„ბათუმიდან“ კი ისევ დარჩიძეს ჰქონდა გოლის გატანის შანსი, შორიდან ძლიერად გაისროლა, ბურთი მცველებში გაიხლართა, ძელს გაეხახუნა და კუთხურზე გადავიდა.

ბოლო წუთზე ბათუმელები მიხეილ კაკალაძის წაქცევისთვის პენალტს ითხოვდნენ, თუმცა მთავარი მსაჯის კობა ჭაჭუას სასტვენი დუმდა...

# RUGBY WORLD CUP 2007

საფრანგეთი. 7 სექტემბერი — 20 ოქტომბერი

# მწვადი კარგია, მაგრამ... პალიკო ჯიმშელაძეს ექიმებმა კითხვის ნიშანი დაუსვეს

ირლანდიასთან ნაომარი საქართველოს ნაკრები მატჩის მეორე დღესვე აიბარგა ბორდოდან და ისევ ლიონის გარეუბან ბოჟალეში დაბანაკდა, სადაც ჩვენების ფანკლუბიც არის გახსნილი. ბოჟალეში „ლელოები“ მე-17 საუკუნეში აშენებულ სასახლეში, ახლა კი სასტუმროდ და სპორტულ ბაზად გადაკეთებულ ნალკოტში ცხოვრობენ. გუშინ „ლელოებს“ უქმე დღე ჰქონდათ და სტუმრებსაც ქართულად მასპინძლობდნენ.



ვასილ აბაშიძე



პალიკო ჯიმშელაძე

— ახლა მწვადებს ვწვავთ და ფრანგ და სხვა უცხოელ ჟურნალისტებს ვუმასპინძლდებით. საკმაოდ ბევრი სტუმარი გვყავს — გვითხრა ჩვენი ნაკრების მენეჯერმა **ვასილ აბაშიძემ** საფრანგეთში რომ დავუკავშირდით.

**— მოსწონთ მწვადი?**

— ძალიან, აქ მწვადს სხვანაირად, დაბეგვილი ხორცით წვავენ, ჩვენ კი მამაპაპური, შამფურზე, მაყალზე შემწვარი მწვადით ვუმასპინძლდებით. ქართული ღვინოც გვაქვს, ოღონდ ბიჭები, ცხადია, არ სვამენ, სტუმრები კი სიამოვნებით გვადღეგრძელებენ. თანაც ქართული სადღეგრძელოები ვასწავლეთ.

**— ეგ ყველაფერი კარგია, მაგრამ დღეს ივარჯიშებთ?**

— არა, დღეს ბიჭებს დასვენების დღე აქვთ. ასეთ დაძაბულ რეჟიმში განტვირთვა აუცილებელია. ირლანდიასთან მძიმე მატჩის შემდეგ მწვრთნელებმა მეორე დღესვე ავარჯიშეს გუნდი. ხვალიდან კი ისევ ორჯერადი ვარჯიშები ექნებათ.

**— ესე იგი ნამიბიასთან მატჩს გუნდი დასვენებულ-მომზადებული ხვდება?**

— ასეა, თუმც ერთი პრობლემა გვაქვს. ილო ზედგინიძის ამბავი უკვე იცით და ამას პალიკო ჯიმშელაძის ტრავმაც დაემატა. პალიკომ არგენტინასთან მატჩში საზარდული იტკინა და დღემდე აწუხებს. აქაურ ექიმებთან გვყავდა და ჯერჯერობით სანუგეშოს ვერაფერს გვეუბნებიან. საბოლოო პასუხი ორშაბათს გვეცოდინება, მაგრამ აქედანვე შეიძლება ითქვას, რომ ჯიმშელაძეს ნამიბიასთან მატჩი გაუცდება და ალბათ მისთვის მსოფლიოს თასიც აქ დასრულდება.

**— პალიკო ჯიმშელაძის შემცვლელი ვინ იქნება?**

— ჯერ საბოლოო პასუხს ველოდებით, მაგრამ არა მგონია, განაცხადში ახალი გვარი გამოჩნდეს. აქ ვინც არიან, მათშიც შეიძლება შემცვლელის პოვნა. მით უმეტეს, ირლანდიასთან სათადარიგოებმა დაგლიჯეს.

**— ნამიბიასთან მატჩის შემადგენლობას როდის დაასახელებენ მწვრთნელები?**

— ორშაბათს საღამოს, რადგან ჯიმშელაძის ტრავმამ გეგმები ცოტათი არია, თუმც საგანგაშო არაფერია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ნამიბიას ილო ზედგინიძისა და პალიკო ჯიმშელაძის ხათრით აუცილებლად უნდა მოვუგოთ.

**ბაჩო სვანიძე**

# ნამიბიას მომავალი საქართველო

**ზეგ** საქართველოს ნაკრები მსოფლიოს თასებზე თავისი ისტორიული გამარჯვებისთვის იბრძოლებს. ჩვენს „ლელოებს“ ნამიბიის ნაკრების დამარცხება მართებთ, რომ მსოფლიოს თასზე პირველ გამარჯვება მოიპოვონ. სანამ ჩვენები საამჯახოდ ლიონში ისვენებენ და თან ვარჯიშობენ, ნამიბიამ არგენტინასთან განადგურება „მოასწრო“, მაგრამ მათი მწვრთნელ-მორაგბეები „ლელოებთან“ მატჩს მაინც ოპტიმისტურად უყურებენ. მეტიც, ამბობენ — ჩვენ მოვიგებთო. ეს კომენტარები სხვადასხვა უცხოური საინფორმაციო საშუალებებით შევკრიბეთ და გადმოვაქართულეთ...

**ჰაკის ჰუსელმანი, ნამიბიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი:** „ჩვენ საწყისი სამი მატჩი დიდი ანგარიშით წავაგეთ და ეს არც არის გასაკვირი, რადგან, ჯერ ერთი, ეგრეთ წოდებულ სიკვდილის ჯგუფში მოვხვდით და მეორე, სამი მატჩი მსოფლიო რაგბის მონსტრებთან გვქონდა. არ მესმის იმ ხალხის, ვინც მსოფლიოს თასის განრიგი შეადგინა. როგორ შეიძლება ოთხი დღის ინტერვალით სამი მატჩი ითამაშო და სამივე გრანდთან. ამიტომაც ვცდილობდი, ყოველთვის შერეული შემადგენლობა დამეყენებინა. ახლა საფრანგეთთან, ირლანდიასთან და არგენტინასთან მატჩები მოლეული გვაქვს, ვაღიარებ, რომ ვერც ერთს ვერ გავუწიეთ ღირსეული წინააღმდეგობა, თუმცა ამას თავისი მიზეზები ჰქონდა. ახლა მარტო საქართველოსთან მატჩი დაგვრჩა და სხვა საფიქრალი აღარ გვაქვს. თუმცა კვლავ განრიგის უკუღმართობას ვაწყდები. არგენტინასთან მატჩის შემდეგ დასასვენებლად მხოლოდ ოთხი დღე გვაქვს მაშინ, როცა ქართველები მთელი ათი დღე უქმობდნენ. მიუხედავად ამისა, ნამიბიის ნამდვილ ძალას სწორედ საქართველოსთან მატჩში დაინახავთ. დარწმუნებული ვარ, ჩვენ მოვიგებთ.“

**კორნე პაუელი, ნამიბიის ვიცე-კაპიტანი:** „პირველმა სამმა მატჩმა ჩვენს ნაკრებზე მცდარი წარმოდგენა შეგიქმნათ. ამას თავისი მიზეზები აქვს. თუმც თავს არ ვიმართლებთ. ჩვენმა ქომაგმა იცის, რომ დარჩენილ ოთხ დღეში წარმოუდგენლად ბევრს ვიმუშავებთ და საქართველოსთან სასურველ შედეგს მივაღწევთ. სწორედ ეს არის ჩვენი უპირველესი მიზანი, თორემ საფრანგეთს, ირლანდიასა და არგენტინას რომ ვერ მოვუგებდით, ეს ყველამ კარგად ვიცოდით.“

**ქიის ლენსინხი, ნამიბიის კაპიტანი:** „ქართველებს კარგად ვიცნობ, სამი წლის წინ „ბლუ ბულზში“ ვთამაშობდი და მათ დედაქალაქში ვიყავით ტურნირზე. ქართველები საოცრად თბილი და გულუხვი მასპინძლები არიან, მათი ნაკრები კი ჯანმაგარი ბიჭებით არის სავსე. მართალია, ამ მსოფლიოს თასზე სულ სხვა გუნდი ჰყავთ, მაგრამ რამდენიმე მორაგბე ვიცანი. მაშინ სამივე მატჩი მოვიგეთ, მაგრამ ეროვნულ ნაკრებს ბოლო, მესამე მატჩი ვეთამაშეთ და ყველაზე მეტად სწორედ ეს შეხვედრა დამამახსოვრდა. ვფიქრობ, ძალიან რთული და ჩახურული მატჩი იქნება, რადგან ორივეს გვიყვარს და გამოგვდის შერკინებით თამაში. მიუხედავად ამისა, მჯერა, ჩვენი შეხვედრა ერთ-ერთი დასამახსოვრებელი მატჩი იქნება ამ მსოფლიოს თასზე და იმედია, გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება.“

ერთიც, საქართველოს ნაკრების არ იყოს, ნამიბიაც თავის 22-კაცა სამატჩო რაზმს დღეს საღამოს გამოაცხადებს.

**ბაჩო სვანიძე**





ჰაკის ჰუსელმანი და ქიის ლენსინხი

## მსოფლიოს თასის მრიცხველი



პერსი მონტგომერი

| ქულები | |
|---|---|
| პერსი მონტგომერი (ს. აფრ) | 52 |
| ჟან-ბაპტის ელისალდე (საფ) | 42 |
| ფელიპე კონტეპომი (არგ) | 42 |
| მეტ ჟიტუ (ავს) | 40 |
| პიერ პოლა (ტონ) | 34 |

| ლელოები | |
|---|---|
| დაგ ჰაულეტი (ახ. ზელ) | 5 |
| შეინ უილიამსი (უელ) | 5 |
| ვინსენტ კლერკი (საფ) | 5 |
| დრიუ მიტჩელი (ავს) | 5 |
| ბრაიან ჰაბანა (ს. აფრ) | 4 |

| ყვითელი ბარათები | |
|---|---|
| ტონგა | 3 |
| ირლანდია | 2 |
| იტალია | 2 |
| ს. აფრიკა | 2 |
| ავსტრალია | 2 |

| გუნდური ლელოები | |
|---|---|
| ახალი ზელანდია | 33 |
| ავსტრალია | 24 |
| უელსი | 18 |
| საფრანგეთი | 15 |
| ს. აფრიკა | 15 |

# RUGBY WORLD CUP 2007

**საფრანგეთი. 7 სექტემბერი — 20 ოქტომბერი**

## ლანდი გასდის ირლანდიას

**ლანდი** გასდის ირლანდიის ქებულ ნაკრებს. ქართველ „ლელოთაგან“ გვარიანად მოთელილმა „სამყურებმა“ პარიზის „სტად დე ფრანსზე“ მხოლოდ ერთი საჯარიმო გაუტანეს მსოფლიოს თასის მასპინძელ საფრანგეთს და გარეგნულად თითქოს ბრძოლაში, მაგრამ შინაარსობრივად უიმედოდ წააგეს ჯგუფის პრინციპული მატჩი.

ძნელი სათქმელია, ირლანდიას ოდესმე ჰყოლია თუ არა ასეთი ნიჭიერი გუნდი. ედი ოსალივანი შეგირდთა გვარებს ფურცელზე რომ ჩამოწერს ხოლმე, იფიქრებთ, ესენი მთას გადააბრუნებენო, მაგრამ გავლენ მოედანზე და ისე უფანტაზიოდ და ინერტულად ირჯებიან, რომ მათთვის მეოთხედფინალის საგზური დაგენანება.

საფრანგეთთან პრინციპულ შეხვედრაში აშკარად ჩაფლავდა ირლანდიური ნახევარდაცვა. ოსალივანმა გამოცდილი 9 ნომერი პიტერ სტრინგერი ახალგაზრდა იოინ რედანით შეცვალა, მაგრამ ვერც მან და ვერც რონან ოგარამ გუნდი ვერ ათამაშეს ისე, როგორც ეს მათმა ფრანგმა ოპონენტებმა მიშალაკმა და ელისალდემ შეძლეს. მიშალაკმა ტაქტიკური დარტყმებით მოუღო ბოლო ირლანდიას.

ირლანდიამ კი თუკი არგენტინასთანაც ისე იწვალ-ივაზირა, როგორც საქართველოსა და საფრანგეთთან, კარგი არაფერი მოელის. მძლავრი სამხრეთამერიკული გუნდი თავისი ზემძლავრი და აგრესიული შერკინებით გადათელავს და ჯგუფში ჩატოვებს. თავად არგენტინელებმა კი შაბათს შესუსტებული შემადგენლობით მოთამაშე ნამიბიასთან წაივარჯიშეს.

ასევე მეორე გუნდით ითამაშა სამხრეთ აფრიკამ და ამისთვის კინაღამ საშვილიშვილოდ დაისაჯა. ამ მსოფლიოს თასის გუნდმა-სიურპრიზმა, ტონგამ გვარიანად დააფეთა ჩემპიონობაზე მეოცნებე „ქურციკები“. მხოლოდ 3:7 წაგებული პირველი ტაიმის შემდეგ მეორეს დასაწყისში ტონგელმა კისი პულუმ ლელო გაიტანა და თავისი გუნდი 10:7 დაწინაურა. „ქურციკების“ მწვრთნელმა ჯეკ უაიტმა თავში ხელი შემოირტყა და სასწრაფოდ წამოახტუნა სათადარიგოთა სკამზე მსხდომი ლიდერები. მათაც მალევე შემოატრიალეს ჩარხი და ერთბაშად სამი ლელო გაუტანეს ტონგელებს, მაგრამ არც ესენი ჭამდნენ მოედანზე ქოქოსს — მათაც ორი ლელო გაშანსეს და მატჩის დამთავრებამდე 8 წუთით ადრე 22:27 წამოეწივნენ მართლა შეშინებულ სამხრეთაფრიკელებს. ტონგას ეს თამაში რომ მოეგო, უდიდესი სენსაციის ავტორი შეიქნებოდა, მაგრამ „ქურციკებმა“ შეძლეს და მატჩი სასურველ დასასრულამდე მიიყვანეს, თანაც 4 ლელოს გატანისთვის ბონუს-ქულაც ჩაითვალეს.

ბონუსი ტონგასაც შეხვდა 7 ქულაზე ნაკლებით, ანუ ღირსეულად წაგებისთვის. წააგო, მაგრამ მოგებული გამოვიდა ამ თამაშიდან — ეკონომიკურ-პოლიტიკური გაგებით ციცქნა ტონგელებს ახლა ინგლისთან დარჩათ სათამაშო. თუ მართლა მოახდინეს სასწაული და მსოფლიოს ჩემპიონებს მოუგეს, მსოფლიო რაგბიში ყველაფერი მართლა ყირამალა დადგება.



ტონგელებმა სამხრეთაფრიკელები ბევრი აბზინეს და ანერვიულეს

AFP

ინგლისმა კი ტონგელთაგან ძლეულ სამოასთან იჯახირა. ოთხი ლელო კი გაუტანა, მაგრამ თავადაც ნახეთ, როგორ. მსაჯებმა ჩემპიონებს სათამაშო დროის ამოწურვის შემდეგ 2 წუთი აჩუქეს და მეოთხე ინგლისური ლელოც ამ დროს დაიდო.

და მაინც, ინგლისი წინა მატჩებისგან განსხვავებით, გუნდს ჰგავდა ეს კი ერთადერთი კაცის ჯონი უილკინსონის დამსახურებაა. მომჯობინებული უილკოს ფეხი დაეტყოთ „ვარდებს“, რომლებიც შეტევაში ღალაგდნენ და უფრო მიზანმიმართულად ამოქმედნენ.

**ქოტე ყორშია**

### A ჯგუფი

22 სექტემბერი. 18.00. ნანტი

**ინგლისი 44:22 სამოა**

ინგლისი: ლუსი, კუეტო, ტაიტი, ბარკლი, სეკი; უილკინსონი, გომარსალი; ისტერი, უორსლი, ქორი (კაპ), კეი, შოუ, სტივენსი, ჩუთერი, შერიდანი

*სათადარიგოები:* რეგანი, ფრეშუოტერი, ბორსვიკი, მუდი, რიჩარდსი, ფარელი, ჰიპკისი

4 ლ: ქორი (2), სეკი (2); 3 ბ: უილკინსონი; 4 ს: უილკინსონი; 2 ა: უილკინსონი

სამოა: კრიჩტონი, ლემი, მაპუსუა, ლიმა, ა. ტუილაგი; ფუიმაონო-საპოლუ, პოულუ; ჰ. ტუილაგი, სიტიტი (კაპ), ლეო, ტომპსონი, ტეკორი, ჯონსტონი, შვალგერი, ლელამანუა

*სათადარიგოები:* ფუგა, პალაამო, პურდი, ვალუაგა, სოოიალო, მაეფოუ, ლუი

1 ლ: შვალგერი; 1 ბ: კრიჩტონი; 5 ს: კრიჩტონი

| | თ | მ | ფ | წ | სხ | ბონ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სამხრეთ აფრიკა | 3 | 3 | 0 | 0 | +93 | 2 | 14 |
| ტონგა | 3 | 2 | 0 | 1 | +9 | 1 | 9 |
| ინგლისი | 3 | 2 | 0 | 1 | +4 | 1 | 9 |
| სამოა | 3 | 0 | 0 | 3 | -78 | 1 | 1 |
| აშშ | 2 | 0 | 0 | 2 | -28 | 0 | 0 |

### B ჯგუფი

23 სექტემბერი. 16.30. მონპელიე

**ავსტრალია 55:12 ფიჯი**

ავსტრალია: ლათამი, მიტჩელი, ეშლი-კუპერი, ჟიტუ, ტუკირი; ბარნსი, გრეგანი (კაპ); პალუ, ვუ, ელსომი, ვიკერმანი, ჩიშოლმი, შეფერდსონი, მური, დანინგი

*სათადარიგოები:* ფრეიერი, ჰოლმსი, მაკმენიმანი, ჰოილისი, კორდინგლი, სტენიფორტი, ჰუქსლი

7 ლ: ჟიტუ (2), მიტჩელი (3), ეშლი-კუპერი, ჰოილისი; 4 ბ: ჟიტუ; 3 ს: ჟიტუ

ფიჯი: ლიგაირი, დელასაუ, კანავორე, ბაი (კაპ), ნეივუა; ლუვენიალი, დაუნივუკუ; კოვუ, რატუვა, ტალეი, რავაქა, დომოლაილაი, ქიოდრავუ, საუტურაგა, იალაიალატაბუა

*სათადარიგოები:* გადოლო, რაილომო, ლევარავუ, კოიამაიბოლე, რაულუნი, ლოვობალავუ, რაბენი

2 ლ: ნიევუა, რატუვა; 1 ბ: ბაი

| | თ | მ | ფ | წ | სხ | ბონ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ავსტრალია | 3 | 3 | 0 | 0 | +143 | 3 | 15 |
| უელსი | 3 | 2 | 0 | 1 | +67 | 2 | 10 |
| ფიჯი | 3 | 2 | 0 | 1 | -26 | 2 | 10 |
| იაპონია | 3 | 0 | 0 | 3 | -146 | 1 | 1 |
| კანადა | 2 | 0 | 0 | 2 | -38 | 0 | 0 |

### C ჯგუფი

22 სექტემბერი. 16.00. ლანსი

**სამხრეთ აფრიკა 30:25 ტონგა**

სამხრეთ აფრიკა: პინარი, ვილემსე, ოლივერი, იულისი, პიტერსენი; პრეტორიუსი, იანუარი; სკინსტადი (კაპ), როსოუ, ფან ჰეერდენი, ფან დერ ბერხი, ბ. ბოთა, ფან დერ ლინდე, გ. ბოთა, სტეენკამპი

*სათადარიგოები:* ჯ. სმიტი, ბჯ. ბოთა, მეტფილდი, ი. სმიტი, ჰაბანა, შტეინი, მონტგომერი

4 ლ: პინარი (2), ი. სმიტი, სკინსტადი; 2 ბ: პრეტორიუსი, მონტგომერი; 2 ს: შტეინი, მონტგომერი

ტონგა: ლილო, ტუიფუა, ჰუფანგა, ტაიონე, ვაკა; ჰოლა, ტუიპოლოტუ; მაკა, ლატუ (კაპ), ვაკი, კაუჰენგა, ჰეჰეა, პულუ, ლუტუი, ტონგაუიჰა

*სათადარიგოები:* კაუკაფა, ფილისე, აფეაკი, ფილიპინე, ჰავეა, ტოპოუ, ჰავილი

3 ლ: პულუ, ჰუფანგა, ვაკი; 2 ბ: ჰოლა; 2 ს: ოლა

23 სექტემბერი. ედინბურგი (შოტლანდია)

**შოტლანდია 0:40 ახალი ზელანდია**

ახალი ზელანდია: მაკდონალდი, ჰაულეტი, სმიტი, მაკალისტერი, სივივატუ; კარტერი, კელეჰერი; სოოიალო, მაკქოუ (კაპ), მასო, უილიამსი, სორნი, ჰეიმანი, ოლივერი, ვუდკოკი

*სათადარიგოები:* ჰორი, ტიალატა, ჯეკი, ლაუაკი, ლეონარდი, ევანსი, ტოეავა

6 ლ: მაკქოუ, ჰაულეტი (2), კელეჰერი, უილიამსი, კარტერი; 2 ბ: კარტერი; 2 ს: კარტერი

შოტლანდია: საუთველი, უოლკერი, დი როლო, ჰენდერსონი, ვებსტერი; პატერსონი, კიუსტერი; ქალამი, ბარქლაი, ბრაუნი, მიურეი (კაპ), მაკლეოდი, სმიტი, ს. ლოუსონი, დიკინსონი

*სათადარიგოები:* ტომპსონი, კერი, ჰამილტონი, ჰოგი, რ. ლოუსონი, პარქსი, დოული

| | თ | მ | ფ | წ | სხ | ბონ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ახალი ზელანდია | 3 | 3 | 0 | 0 | +197 | 3 | 15 |
| შოტლანდია | 3 | 2 | 0 | 1 | +48 | 2 | 10 |
| იტალია | 3 | 2 | 0 | 1 | -30 | 0 | 8 |
| რუმინეთი | 2 | 0 | 0 | 2 | -48 | 1 | 1 |
| პორტუგალია | 3 | 0 | 0 | 3 | -167 | 0 | 0 |

### D ჯგუფი

21 სექტემბერი. 23.00. პარიზი

**საფრანგეთი 25:3 ირლანდია**

საფრანგეთი: პოიტრენო, კლერკი, მარტი, ტრაი, ეიმანსი; მიშალაკი, ელისალდე; ბონარი, დუზატო, ბესენი, ტიონი, შაბალი, დე ვილიე, იბანიესი (კაპ), მილუ

*სათადარიგოები:* შარჟევსკი, პუ, ნალე, ნიანგა, ბიუ, ჟოზიონი, რუჟერი

2 ლ: კლერკი; 5 ს: ელისალდე

ირლანდია: დემფსი, ჰორგანი, ოდრისკოლი (კაპ), დარსი, ტრიმბლი; ოგარა, რედანი; ლემი, დ. ვოლესი, ისტერბი, ოკონელი, ოკალაჰანი, ჰეიესი, ფლანერი, ჰორანი

*სათადარიგოები:* შეჰანი, ს. ბესტი, ოკელი, ნ. ბესტი, ბოსი, პ. ვოლესი, დაფი

1 ს: ოგარა

22 სექტემბერი. 23.00. მარსელი

**არგენტინა 63:3 ნამიბია**

არგენტინა: კორლეტო, სერინოზა, ტიესი, მ. კონტეპომი, აგულა; ფ. კონტეპომი, პიჩოტი (კაპ); ლეგუიზამონი, ხ. ლობე, ოსტილია, ალბასეტე, კ. ლობე, ჰასანი, ბასუალდო, რონჩერო

*სათადარიგოები:* ლედესმა, სკელზო, კაირელისი, ლონგო, მირანდა, ტოდესკინი, სერა

9 ლ: რონჩერო, ლეგუიზამონი (2), მ. კონტეპომი, ფ. კონტეპომი, ტიესი, კორლეტო, საჯარიმო ლელო, ტოდესკინი; 6 გ: ფ. კონტეპომი (4), ტოდესკინი (2); 2 ს: ფ. კონტეპომი

ნამიბია: ბოკი, მუტონი, გრობლერი, პაუელი (კაპ), აფრიკა; შრიოდერი, იანთხიესი; დიუპლესი, ბურხერი, მაკენზი, ესტერ ჰუიზი, კაზომბიაზე, ვიზერი, მეიერი, რედლინჰუისი

სათადარიგოები: ჰორნი, ლენსინხი, ლინდველტი, სენეკალი, ფან ტონდერი, ლანგენჰოვენი, ფან ცული

1 ს: შრიოდერი

| | თ | მ | ფ | წ | სხ | ბონ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 3 | 3 | 0 | 0 | +95 | 2 | 14 |
| საფრანგეთი | 3 | 2 | 0 | 1 | +94 | 2 | 10 |
| ირლანდია | 3 | 2 | 0 | 1 | -3 | 1 | 9 |
| საქართველო | 2 | 0 | 0 | 2 | -34 | 1 | 1 |
| ნამიბია | 3 | 0 | 0 | 3 | -152 | 0 | 0 |

## მსოფლიოს ჩემპიონატი ჩანგ მაი, ტაილანდი



ბადრი კიკილაშვილის ფოტო

# გიორგი ასანიძე ულიცენზიოდ დარჩა

**ტაილანდში** ქართველებისთვის წარუმატებლად დაიწყო ძალოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატი — განსაკუთრებით ათენის ოლიმპიადის ჩემპიონ გიორგი ასანიძისთვის. 85 კილოგრამ წონით კატეგორიაში ასანიძე, 25-ეულს ვინ ჩივის, 40 საუკეთესოს შორისაც ვერ მოხვდა.

საქმე ისაა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატი ამავდროულად საოლიმპიადო ლიცენზიის მოპოვებისთვის საშუალებაა. იმ ძალოსნებს, რომლებიც თავიანთ წონებში საუკეთესო 25-ეულში მოხვდებიან, სალიცენზიო ქულები ერგებათ. ერთი ქვეყნის წარმომადგენელთა სხვადასხვა წონაში მოპოვებული ქულები საბოლოოდ ჯამდება და რაც უფრო მაღალია შედეგი, მით უფრო მეტია საოლიმპიადო ლიცენზია.

ასე და ამგვარად, ასანიძემ ქართულ საოლიმპიადო ყულაბაში ქულები ვერ ჩააჩხრიალა, რასაც ვერ ვიტყვით ზვიად სამუკაშვილსა და რაულ ცირეკიძეზე. მართალია, ეს ბიჭები მაღალი შედეგით ვერ დაიკვეხნიან, თუმცა არც სალიცენზიო ქულების გარეშე დარჩენილან.

ასანიძის წონაში მსოფლიოს ჩემპიონი გახდა ბელარუსი ანდრეი რიბაკოვი, რომელმაც მეორეზე გასულ ასლანბეკ ედიევს მთელი 21 კილოგრამით გაუსწრო და პლანეტის რეკორდი დაამყარა — 393 კგ. რიბაკოვმა ათენში ასანიძის ზურგსუკან მეორე ადგილი დაიკავა.

56-კილოგრამიანთა შორის სამუკაშვილმა ჯამში 230 კილო ასწია და 22-ე ადგილზე გავიდა, ხოლო ასანიძის წონაში გამოსულმა რაულ ცირეკიძემ 337 დაძლია და 24-ე შედეგი აჩვენა.

გუშინ შტანგას ჩვენი ნაკრების ერთ-ერთი იმედი არსენ კასაბიევი შეეჭიდა და გუნდში ყველაზე მაღალი შედეგიც აჩვენა. მან 94 წონით კატეგორიაში მე-11 ადგილი დაიკავა და ოლიმპიური ლიცენზიაც დაიბევა.

დღეს კი სარბიელი 105-კილოგრამიანებსაც დაეთმობათ, სადაც საქართველოს ღირსებას ალბერტ კუზილოვი და გია მაჭავარიანი დაიცავენ.

**ირაკლი ბერტაია**



# ისევ შემონდ უილიამსი

## ცქიტიშვილს თასი ლარისამ წაართვა

„უნდა ითქვას, რომ ჩვენ ვთამაშობდით მანუჩარ მარკოიშვილის გარეშე, რომელმაც მატჩამდე ერთი დღით ადრე მცირე ტრავმა მიიღო. არაერთხელ მითქვამს, რომ მოსამზადებელ შეხვედრებში ჩემთვის შედეგს ნაკლები მნიშვნელობა აქვს, თუმცა „პამესას" დამარცხება ძალიან მესიამოვნა. მე იმდენად შედეგით არ ვარ კმაყოფილი, რამდენადაც ჩემი გუნდის წევრთა მებრძოლი ხასიათითა და შემართებით" — ეს თქვა „ბკ კიევის" მწვრთნელმა ტომო მაჰორიჩმა ესპანური გრანდის, ვალენსიის „პამესას" დამარცხების შემდეგ და, როგორც ნახეთ, მან ხაზგასმით აღნიშნა ქართველი ლეგიონერის არყოფნა.





ვლადივასტოკელები ვლადიმერ ბოისას არ ტვირთავენ

კიეველები ესპანეთში შეკრებაზე არიან და მორიგი სპარინგისას მართლაც სახელიანი გუნდი შემოემარცხათ. „პამესაში" ახლახან გადაბარგდა საქართველოს ნაკრების ყოფილი წევრი შემონდ უილიამსი, რომელმაც გასული სეზონი „ლოს ანჯელეს ლეიკერსის" სკამზე გაატარა. უილიამსთან ერთად კიეველების წინააღმდეგ ითამაშეს საყოველთაოდ ცნობილმა ჟელკო რებრაჩამ და რუბენ დუგლასმა. მიუხედავად ამისა, „ბკ კიევმა" მაინც 59:54 სძლია ვალენსიელებს.

ესპანეთშია ვლადიმერ ბოისას „სპარტაკ-პრიმორიეც" და მანაც გვარიანად ძლიერი გუნდი დაამარცხა. მალაგის „უნიკახას" აკლდნენ ესპანეთის ნაკრების წევრები — ბერნი როდრიგესი და კარლოს ხიმენესი, თუმცა მათ გარეშეც არ მოიკოჭლებდნენ. ვლადივასტოკელების წინააღმდეგ ითამაშეს ნბა გამოვლილმა მარკუს ჰეისლიპმა და დანიელ სანტიაგომ, ხორვატმა ბოიან პოპოვიჩმა და სხვა გამოცდილებმა.

პრიმორიელებმა მალაგელები დამაჯერებლად, 70:50 სძლიეს და სამწუხარო მხოლოდ ისაა, რომ ამაში ვლადიმერ ბოისას წილი უმნიშვნელოა. საქართველოს ნაკრების ფორვარდმა მცირე ხნით ითამაშა და მოედანი უქულოდ დატოვა. აქამდე ბოისა საკმაოდ აქტიური იყო და სპარტაკელთა მწვრთნელი მას უმიზეზოდ არ გააჩერებდა სათადარიგოთა სკამზე. სავარაუდოდ, ბოისას რაღაც აწუხებდა და ვლადივასტოკელები მის დატვირთვას მოერიდნენ.

